საბროკერო კომპანია "რიონი კაპიტალის"
დეკლარაცია
საინვესტიციო საკონსულტაციო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული რისკების შესახებ

თბილისი
2025

წინამდებარე დეკლარაცია საინვესტიციო საკონსულტაციო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული რისკების შესახებ (შემდგომში დეკლარაცია) წარმოადგენს საბროკერო კომპანია „რიონი კაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) კლიენტების მომსახურების რეგლამენტის (შემდგომში „რეგლამენტი“) დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე დეკლარაცია აღწერს ბროკერის მიერ კლიენტისთვის საინვესტიციო საკონსულტაციო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ რისკებს, ბროკერის (საინვესტიციო მრჩეველი) მიერ კლიენტისთვის მიწოდებული ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და ტრანზაქციების განხორციელების შედეგების ჩათვლით. ამავდროულად, წინამდებარე დეკლარაცია არ მოიცავს ინფორმაციას ბროკერის მიერ საინვესტიციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა რისკზე, თუმცა კლიენტს ზოგად წარმოდგენას უქმნის მათ შესახებ. წინამდებარე დეკლარაციის მიზანია, გააფრთხილოს კლიენტი ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების საფუძველზე, ტრანზაქციის შესრულებასთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის შესახებ.
საკონსულტაციო მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების გაცემის ფარგლებში, კლიენტისთვის ყველაზე ეფექტური საინვესტიციო პროდუქტების განსაზღვრის მიზნით, კლიენტის გამოცდილებისა და ცოდნის, შემოსავლებისა და ხარჯების, ინვესტირების მოსალოდნელი პერიოდებისა და რისკის აპეტიტის გათვალისწინებით, ბროკერი აანალიზებს კლიენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომლის შედეგების საფუძველზე ანიჭებს მას ერთ–ერთ საინვესტიციო პროფილს, საინვესტიციო პროფილის განსაზღვრის შესახებ ბროკერის მიერ დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად. ამასთან კლიენტი სრულად პასუხისმგებელია საინვესტიციო პროფილის მინიჭების მიზნით ბროკერისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციის შედეგად მიღებულ ზარალზე. ყველა შემთხვევაში, კლიენტის პასუხისმგებლობაა, განსაზღვროს, შეესაბამება თუ არა ფინანსური ინსტრუმენტი ან ტრანზაქცია მის საინვესტიციო მიზნებს, საინვესტიციო ჰორიზონტს და რისკის ტოლერანტობას.

ყველა საინვესტიციო გადაწყვეტილებას კლიენტი დამოუკიდებლად იღებს.

ბროკერის მიერ მინიჭებული თითოეული საინვესტიციო პროფილი ხასიათდება ინვესტიციების საბაზრო ღირებულების ცვალებადობით, მათზე საბაზრო რისკების ზემოქმედებით, პოტენციური ზარალის დამოკიდებულებით ბაზრის კონიუნქტურასა და საინვესტიციო ჰორიზონტზე, კაპიტალის ნაწილობრივი ან სრული დაკარგვის შესაძლებლობით, აგრეთვე ისეთი ზარალის წარმოქმნით, რომელიც საწყის ინვესტიციას აღემატება.

ბროკერის საინვესტიციო საკონსულტაციო მომსახურების მოთხოვნისას და ბროკერის მიერ მოწოდებული ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების გამოყენებსას, კლიენტი აცნობიერებს ფინანსური ზარალის რისკს და მზად არის მის მისაღებად. კლიენტს ესმის, რომ ფასიან ქაღალდებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებას თან ახლავს მოსალოდნელი შემოსავლის მიუღებლობის, ინვესტირებული სახსრების ნაწილის დაკარგვის, ზოგიერთ შემთხვევაში კი ინვესტირებულ სახსრებზე მეტი ზარალის რისკი.

კლიენტმა ასევე უნდა გააცნობიეროს, რომ ბროკერის მიერ კლიენტისთვის მიწოდებული ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციები ყველა შემთხვევაში მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვისაა და არ წარმოადგენს შეთავაზებას ან მოთხოვნას გარიგების დადების შესახებ. მიწოდებული ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების შესაბამისად დადებული გარიგებებიდან გამომდინარე ნებისმიერი ფინანსური შედეგი ან ზარალი ეკისრება კლიენტს.

ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების გარდა, ბროკერს, მომსახურების გაწევისას, უფლება აქვს, კლიენტს მიაწოდოს სხვა ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტებისა და მათზე ტრანზაქციების შესახებ, რაც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საინვესტიციო რეკომენდაციას, თუმცა, კლიენტმა შეიძლება იგი ასეთ რეკომენდაციად მიიჩნიოს. ამასთან დაკავშირებით, კლიენტმა გულდასმით უნდა შეისწავლოს ბროკერისგან მიღებული ინფორმაცია ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციის ნიშნების არსებობის დასადგენად და თუ აღმოაჩენს, რომ ინფორმაცია არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საინვესტიციო რეკომენდაციას, არ განიხილოს იგი ასეთად, თუნდაც ყველა საჭირო დეტალს შეიცავდეს. ასეთი ინფორმაციის ნებისმიერი მსგავსება ინდივიდუალურ საინვესტიციო რეკომენდაციასთან სრულიად შემთხვევითია. კლიენტმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი ინფორმაციის მიღებისას მასში წარმოდგენილი ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტი ან ტრანზაქცია შეიძლება არ შეესაბამებოდეს კლიენტის საინვესტიციო პროფილს და არ ითვალისწინებდეს კლიენტის მოლოდინებს რისკის და/ან მომგებიანობის დონესთან დაკავშირებით. ასეთ ინფორმაციაში ნახსენები ტრანზაქციები და/ან ფინანსური ინსტრუმენტები არავითარ შემთხვევაში არ იძლევა გარანტიას იმ შემოსავალზე, რომელსაც კლიენტი შეიძლება მოელოდეს, თუ მოწოდებული ინფორმაცია საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად იქნება გამოყენებული.

კლიენტის მიერ ბროკერის უფლებამოსილი პირისგან ნებისმიერი მობილური აპლიკაციის საშუალებით მიღებული ინფორმაცია, რომელიც მყისიერი შეტყობინებების გაცვლის საშუალებას იძლევა, არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საინვესტიციო რეკომენდაციებს, არც მაშინ, თუ მისი გარეგნული შინაარსი ემთხვევა ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების მიმართ მოქმედი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში მიღებულ ინფორმაციასა და ინდივიდუალურ საინვესტიციო რეკომენდაციას შორის ნებისმიერი მსგავსება სრულიად შემთხვევითი იქნება.

თუ კლიენტს აქვს რაიმე ეჭვი, წარმოადგენს თუ არა ბროკერისგან მიღებული ინფორმაცია ინდივიდუალურ საინვესტიციო რეკომენდაციას, სანამ სახსრების ინვესტირებას განახორციელებს დამატებითი განმარტებისთვის იგი უნდა დაუკავშირდეს ბროკერს.

კლიენტს ასევე უნდა ესმოდეს, რომ როდესაც ბროკერის უფლებამოსილი თანამშრომელი კლიენტს უგზავნის ინდივიდუალურ საინვესტიციო რეკომენდაციას, არსებობს კლიენტსა და ასეთ თანამშრომელს ან ბროკერს შორის ინტერესთა კონფლიქტის რისკი. ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კონკრეტულ სიტუაციასთან ან გარკვეულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების მისაღებად, სახსრების ინვესტირებამდე კლიენტი თავად უნდა დაუკავშირდეს ბროკერს.

გთხოვთ, გახსოვდეთ, რომ ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ ბროკერის სამუშაო საათებში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილოთ ბროკერის ან ბროკერის უფლებამოსილი წარმომადგენლისგან სამუშაო საათების მიღმა მიღებული ინფორმაცია, როგორც ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაცია.

კლიენტს უნდა ახსოვდეს, რომ ბროკერის მიერ მიწოდებული ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციები შეიძლება შეიცავდეს ინფორმირებული ინვესტორებისთვის განკუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტებით გარიგების აღწერას. ამ შემთხვევაში, კლიენტს ემუქრება გაზრდილი რისკები იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ რეკომენდებული ფინანსური ინსტრუმენტები განკუთვნილია ინფორმირებული ინვესტორებისთვის, როგორიცაა ასეთი ფინანსური ინსტრუმენტების შეზღუდული მიმოქცევის რისკი, ფინანსური ზარალის გაზრდილი რისკი,

ემიტენტების რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების ემიტენტების საქმიანობის კონტროლთან და სხვა რისკები.

კლიენტს ვაცნობებთ, რომ „რიონი კაპიტალი“ არ არის ვალდებული, აკონტროლოს იმ ემიტენტის ფინანსური მდგომარეობა, რომლის ფასიანი ქაღალდებიც კლიენტმა შეიძინა და ასევე არ არის ვალდებული, წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები ამ ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში. კლიენტმა დამოუკიდებლად უნდა აკონტროლოს იმ ემიტენტის გაკოტრების ნიშნების გამოვლენა, რომლის ფასიანი ქაღალდებიც მან შეიძინა ან აპირებს შეიძინოს და დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს საჭირო ქმედებები კლიენტის მოთხოვნების მოვალე ემიტენტის კრედიტორების მოთხოვნების რეესტრში შესატანად და კლიენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უცხოური მოვალე ემიტენტისგან უცხოეთის კანონმდებლობის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნად ისახავს, მისცეს რეკომენდაცია კლიენტს, რომ გულდასმით განიხილოს, არის თუ არა კლიენტისთვის მისაღები, კლიენტის საინვესტიციო მიზნებისა და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ბროკერის მიერ კლიენტისთვის საინვესტიციო საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების შედეგად გამოწვეული რისკები. წინამდებარე დეკლარაცია არ ისახავს მიზნად, კლიენტს ხელი შეუშალოს ასეთი ტრანზაქციების განხორციელებაში, იგი გამიზნულია იმისათვის, რომ დაეხმაროს კლიენტს მათ შეფასებაში. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია გასაგებია მისთვის და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს განმარტება რიონი კაპიტალისგან ან შესაბამის საკითხებში სპეციალიზირებული კონსულტანტისგან.